



განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და
მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი
The International Institute for Education

უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული
განვითარება საქართველოში

უმაღლესი განათლების პოლიტიკის ანალიზი ხუთი სტრატეგიული
მიმართულების მიხედვით

V - უმაღლესი განათლება და დასაქმება
ექსპერტი - თამარ ბრეგვაძე

თბილისი 2013

შინაარსი

1. ძირითადი ტენდენციები და პრიორიტეტები მსოფლიოში.....	3
<i>უმაღლესი განათლების ეფექტურობის საზომები</i>	<i>4</i>
<i>ზოგადი სურათი და მთავარი გამოწვევები.....</i>	<i>5</i>
<i>ორიენტირები ჰიპოთეტური მოდელისათვის.....</i>	<i>9</i>
2. უმაღლესი განათლება და სამუშაო ძალა საქართველოში - სიტუაციური ანალიზი	10
3. რეკომენდაციები უმაღლესი განათლების სფეროში პოლიტიკის დაგეგმვისათვის	14
დანართები.....	18
<i>დანართი 1: უმაღლესი განათლების ბაზრის მოთხოვნებთან თავსებადობის გაზრდის</i>	
<i>საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები</i>	<i>18</i>
<i>დანართი 2: უმაღლესი განათლების უკუგებისა და ფარდობითი სარგებლის</i>	
<i>მაჩვენებლები მსოფლიოსა და საქართველოში</i>	<i>21</i>
გამოყენებული ლიტერატურა:	25

1. ძირითადი ტენდენციები და პრიორიტეტები მსოფლიოში

ცოდნის ეკონომიკის ეპოქაში უმაღლესი განათლება მსოფლიო განვითარებისა და კონკურენციის მამოძრავებელი სისტემაა - იგი განიხილება როგორც „ეკონომიკის ძრავა“, რომელიც კვლევისა და ინოვაციის გზით ხელს უწყობს ახალი ცოდნის შექმნასა და სამუშაო ძალის კომპეტენციების მუდმივ განვითარებას (Sursack and Smidt, 2012).

ამ დაშვებაზე დაყრდნობით უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში უმაღლესი განათლების სისტემა ევროპასა და მსოფლიოში მუდმივად ფართოვდება. მაგალითად, 2000-2009 წლებში ევროპის უმაღლესი განათლების სისტემაში ჩართულ სტუდენტთა პოპულაცია საშუალოდ 22 %-ით გაიზარდა (2.7% წლიური ზრდის მაჩვენებელი) (Eurostat, 2012). უმაღლესი განათლების სისტემის გაფართოების ეს ტენდენცია ეფუძნება იდეას, რომ მეტი განათლება სარგებლის მომტანია ინდივიდებისა და საზოგადოებისათვის, როგორც ეკონომიკური თვალსაზრისით (შემოსავლების და დასაქმების მაჩვენებლების ზრდა, ადამიანური კაპიტალის განვითარება), ისე სოციალური თვალსაზრისით (სოციალური მობილობის ხელშეწყობა, სოციალური სტაბილურობისა და კეთილდღეობის მაჩვენებლების ზრდა) (Machin and McNally, 2007).

რამდენად ეფექტურად ასრულებს უმაღლესი განათლება ამ ფუნქციებს? ამართლებს თუ არა უმაღლესი განათლებაში ჩადებული მზარდი კერძო და სახელმწიფო ინვესტიცია? უმაღლესი განათლების სისტემის, როგორც ღია სისტემის, ეფექტურობა პირველ რიგში განისაზღვრება იმით, თუ რამდენად პასუხობს იგი გარემოში არსებულ მოთხოვნებს. შესაბამისად, უმაღლესი განათლების სისტემის ამონაგების სამუშაო ბაზრის მოთხოვნებთან თავსებადობის მონიტორინგი დღეისათვის სისტემის ეფექტურობის შეფასების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს.

ბოლო წლებში სამუშაო ბაზრისა და უმაღლესი განათლების თავსებადობის თემას არაერთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო ანგარიში მიეძღვნა. მათ შორისაა ეგთო-ს 2011 წლის თემატური ანგარიში და იუნესკოს გლობალური მონიტორინგის ანგარიში - განათლება ყველასათვის 2012. თემატური ანგარიშებისა და სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი აჩვენებს, რომ სამუშაო ბაზრისა და უმაღლესი განათლების სისტემის განვითარების ტენდენციების კოორდინაცია სამი სტრატეგიული მიმართულებით არის მნიშვნელოვანი:

ა) პირველი მიმართულება სამუშაო ბაზარზე ადამიანური რესურსის მიწოდებისა და ამ რესურსზე მოთხოვნის ბალანსის უზრუნველყოფაა (სისტემის ამონაგების რაოდენობრივი ინდიკატორი):

მოთხოვნა-მიწოდების ურთიერთმიმართების მარტივი ლოგიკით კურსდამთავრებულთა რაოდენობის ზრდა, სხვა ყველა პირობის თანაბრობის შემთხვევაში, მათი ხელფასის კლებას გამოიწვევს, რადგან დამსაქმებელს ანალოგიური კვალიფიკაციის ადამიანთა უფრო ფართო არჩევანი ექნება. თუმცა, ეს მარტივი მიზეზ-შედეგობრივი მიმართება ყოველთვის არ მუშაობს. უმაღლესი განათლების სისტემა, თანამედროვე თეორიების

მიხედვით, არა მხოლოდ რეაგირებს ბაზარზე მოთხოვნის ცვალებადობაზე, არამედ თავადაც შეუძლია გამოიწვიოს კურსდამთავრებულზე მოთხოვნის ზრდა ბაზარზე (Machin and McNally, 2007). შესაბამისად, მოთხოვნა - მიწოდების ბალანსის მდგომარეობის მიღწევა, ამ მიმართულებით სიტუაციის მუდმივი ანალიზი და სწორი სტრატეგიის განსაზღვრა უმაღლესი განათლების პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს გამოწვევას წარმოადგენს.

ბ) მეორე მიმართულება უმაღლესი განათლების კურსდამთავრებულთა კომპეტენციების ბაზარზე არსებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის გაზრდაა (სისტემის ამონაგების თვისებრივი ინდიკატორი);

სტრუქტურული ცვლილებები ეკონომიკაში ევროპის წინაშე ახალ გამოწვევებს აყენებს, რადგან ეკონომიკის განვითარებისათვის შესაბამისი უნარებია საჭირო. თანამედროვე სამუშაო ბაზრის დინამიკა გამოიხატება არა მხოლოდ თვისებრივად ახალი სამუშაო ადგილების წარმოქმნაში (სხვა სამუშაო ადგილების გაქრობის ფონზე), არამედ არსებულ სამუშაო ადგილებზე საკვალიფიკაციო მოთხოვნების ცვლილებაშიც (European Centre for the Development of Vocational Training, 2010).

კურსდამთავრებულთა უნარ-ჩვევებისა და სამუშაო ბაზრის მოთხოვნების შესაბამისობის უზრუნველყოფა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მზარდი უმუშევრობის ფონზე, რადგან ამჟამად ევროპაში რეცესიის პერიოდია.

გ) კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა უმაღლესი განათლების როლის გაზრდაა სოციალური მობილობისა და სოციალური თანასწორობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

უმაღლესი განათლება, თანამედროვე კვლევების თანახმად, უფრო მაღალი ანაზღაურებისა და დასაქმების უფრო მაღალი ალბათობის საწინდარია. ფორმალური განათლების ამ საფეხურის ხელმისაწვდომობა, შესაბამისად, უზრუნველყოფილი უნდა იქნას მოწყვლადი ჯგუფებისთვის.

უმაღლესი განათლების ეფექტურობის საზომები

უმაღლესი განათლების ამონაგების ბაზრის მოთხოვნებთან ხარისხობრივი და რაოდენობრივი თანხედრის დასადგენად ორი ძირითადი საზომი გამოიყენება: განათლების უკუგება და ფარდობითი სარგებელი განათლების დონეების მიხედვით.

1. **უმაღლესი განათლების უკუგება** (ამონაგები უმაღლეს განათლებაზე გაწეული ინვესტიციებიდან) წარმოადგენს განათლებაზე გაწეული (საზოგადოებრივი და კერძო) დანახარჯებისა და განათლებიდან მიღებული საზოგადოებრივი და პირადი ფინანსური სარგებლის მიმართებას.

განსახვავებენ კერძო და საზოგადოებრივ უკუგებას:

კერძო უკუგება ინდივიდის მიერ უმაღლეს განათლებაზე გაწეული დანახარჯებისა და მიღებული სახელფასო სარგებლის (გადასახადების დაფარვის შემდეგ) ფარდობაა.

საზოგადოებრივი უკუგება წარმოადგენს სახელმწიფოს ან საზოგადოების მიერ უმაღლეს განათლებაზე გაწეული ხარჯების შეფარდებას დასაქმებიდან მიღებულ შემოსავლებთან (გადასახადებამდე). განათლებიდან საზოგადოებრივ სარგებლის მაჩვენებელს იყენებენ განათლებაზე სახელმწიფოს მიერ გაწეული ხარჯების ეფექტურობის შესაფასებლად (Psacharopoulos, 2009).

2. უმაღლესი განათლების ფარდობითი სარგებელი განათლების დონეების მიხედვით სისტემის ეფექტურობის მეორე საზომია. ამ მაჩვენებლის გამოსაანგარიშებლად უმაღლესი განათლების მქონე პირთა შემოსავლებს და დასაქმების შანსებს ადარებენ, მაგალითად, მხოლოდ დაწყებითი ან ზოგადი განათლების მქონე პირთა ანალოგიურ მაჩვენებლებს და გამოიანგარიშებენ სხვაობას.

სახელფასო შემოსავლებში განათლების დონეების მიხედვით სხვაობას „სახელფასო პრემიას“ უწოდებენ.

უმაღლესი განათლების უკუგება და ფარდობითი სარგებელი სხვადასხვა კუთხით ზომავს და გვიჩვენებს, თუ რამდენად მოთხოვნადია ბაზარზე უმაღლესი განათლების მქონე პირთა კომპეტენციები. შესაბამისად, ეს მაჩვენებლები გამოიყენება როგორც მოთხოვნა- მიწოდების, ისე კომპეტენციების თანხვედრის ირიბ საზომად. უფრო დეტალური ანალიზისათვის, აგრეთვე, გამოითვლება უმაღლესი განათლების ფარდობითი სარგებელი და უკუგება სწავლის მიმართულებების (მაგალითად, სოციალური მეცნიერებები, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები...) ან სასწავლებლის ტიპის (კერძო/სახელმწიფო) მიხედვით.

სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისათვის ამ მაჩვენებლების შედარებისას შესაძლებელია გარკვეული დასკვნების გამოტანა იმის შესახებაც, თუ რამდენად ასრულებს უმაღლესი განათლება სოციალური უთანასწორობის გამოთანაბრების ფუნქციას.

ზოგადი სურათი და მთავარი გამოწვევები

უმაღლესი განათლების უკუგებისა და ფარდობითი სარგებლის ანალიზზე დაყრდნობით ევროპის მასშტაბით უმაღლესი განათლების ეფექტურობის შესახებ რამდენიმე თვალსაჩინო დასკვნა იკვეთება:

1. ბოლო ათწლეულების განმავლობაში მიწოდების ზრდის პარალელურად უმაღლეს განათლებაზე მოთხოვნაც იზრდება. უფრო მეტიც, ბევრ ქვეყანაში უმაღლესი განათლების მქონე პირებთან მიმართებაში მოთხოვნა დღეისათვის აჭარბებს მიწოდებას.

ადრეული კვლევების მიხედვით ყველაზე მაღალი უკუგების მაჩვენებელი დაწყებით განათლებას ჰქონდა და ეს მაჩვენებელი თანდათან იკლებდა განათლების წლების ზრდასთან ერთად (Psacharopoulos, 1994). დღესდღეობით სამუშაო ბაზრის უკუგებაზე ეს ტრადიციული წარმოდგენა იცვლება - კვლევების დიდი ნაწილი დღეს ადასტურებს, რომ უმაღლეს განათლებას გაცილებით მაღალი უკუგების მაჩვენებელი აქვს განათლების ყველა სხვა დონესთან შედარებით (Fasih, 2008).

ეგთოს ერთ-ერთი ბოლო კვლევის თანახმად, ევროპის ქვეყნებში უმაღლესი განათლების მქონე პირების დასაქმებიდან შემოსავალი 55%-ით მეტია საშუალო განათლების მქონე პირებთან შედარებით. ეს განსხვავება იზრდება ასაკთან ერთად. 25-34 ასაკობრივ ჯგუფში განსხვავება 37%-ს, 55-64 ასაკობრივ ჯგუფში კი - 69%-ს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ უმაღლესი განათლების ორ დონეს - A (აკადემიური) და B (პროფესიული) განსხვავებული ეფექტი აქვს შემოსავლებზე. B ციკლის ეფექტი და დროში ზრდის ტემპი შედარებით დაბალია (OECD, 2012). საშუალოდ, ეგთოს ქვეყნებში 2000-დან 2010 წლამდე პერიოდში უმაღლესგანათლებულთა ფარდობითი შემოსავლები 10%-ით გაიზარდა.

ევროპის ქვეყნებში განხორციელებული უახლესი კვლევები, აგრეთვე, აჩვენებს, რომ შედარებით დაბალი კვალიფიკაციის მქონე პირების (სრული ზოგადი განათლება ან უფრო დაბალი) დასაქმების მაჩვენებლები მნიშვნელოვნად დაბალია უმაღლესი განათლების მქონე პირებთან შედარებით. გარდა ამისა, დაბალი კვალიფიკაციის მქონე პირებისათვის სიტუაცია უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში კიდევ უფრო უარესდება და მათი დასაქმების ალბათობა მუდმივად მცირდება (McIntosh, 2004).

ევროპაში უმაღლესი განათლების კურსდამთავრებულებზე მოთხოვნის ზრდის ახსნის თვალსაზრისით დღესდღეობით აზრთა დიდი სხვადასხვაობაა, თუმცა ყველაზე გავრცელებული ჰიპოთეზის თანახმად, ამ ზრდას პირველ რიგში ტექნოლოგიური ცვლილებები განაპირობებს (Machin & McNally, 2007).

საინტერესოა, რომ მაღალკვალიფიციურ პერსონალზე მოთხოვნა არა მხოლოდ განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში, არამედ ნაკლებად ინდუსტრიალიზებულ, საშუალო ან დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნებშიც იზრდება (ვენესუელა, ჩილე, ურუგვაი, გვატემალა, კორეის რესპუბლიკა, ინდოეთის სუბკონტინენტი და აფრიკა) (McIntosh, 2004).

2. უმაღლესი განათლების დაფინანსების ზრდა იწვევს სისტემის ეფექტურობის ზრდას

ბოლოდროინდელი კვლევები, აგრეთვე, მიუთითებს განათლებაზე გაწეული ხარჯების ძლიერ და მნიშვნელოვან ურთიერთკავშირზე ბაზარზე არსებულ სიტუაციასთან. კერძოდ, უმაღლეს განათლებაში ჩართულ პირზე გაწეული წლიური დანახარჯი გავლენას ახდენს შემოსავლებზე, განათლებაზე გაწეული მთლიანი სახელმწიფო დანახარჯი - დასაქმების მაჩვენებლებზე, ხოლო მთლიანი შიდა დანახარჯი კვლევაზე (ერთ მოსახლეზე) ძლიერ კორელაციაშია როგორც დასაქმების, ისე შემოსავლის მაჩვენებლებთან (Ionescu, 2012).

ორივე მაჩვენებლის მიხედვით საუკეთესო სურათი იკვეთება დანიაში, ნორვეგიასა და შვედეთში, სადაც მაღალია როგორც დასაქმებისა და შემოსავლის მაჩვენებლები, ისე განათლებაში ჩადებული ინვესტიციის მაჩვენებელი. საპირისპირო მდგომარეობაა რუმინეთსა და სლოვაკეთში, სადაც დაბალია როგორც სისტემაში ინვესტირების, ისე სისტემის ამონაგების (ხელფასი, დასაქმება) მაჩვენებლები.

ამ კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია პოლიტიკის განმსაზღვრელთათვის, რადგან მიუთითებს, რომ დასაქმების მაჩვენებლების გაზრდა განათლებაში მთლიანი შიდა პროდუქტის უფრო დიდი წილის ინვესტირებითაა შესაძლებელი, ხოლო შემოსავლის მაჩვენებლების ზრდის ეფექტურ სტრატეგიას უმაღლესი განათლებისა და კვლევის დაფინანსების გაზრდა წარმოადგენს (Ionescu, 2012).

ამ დადებითი ტენდენციების ფონზე თანამედროვე კვლევები უმაღლესი განათლების სისტემის წინაშე არსებულ გარკვეულ გამოწვევებზეც მიუთითებს:

1. რეცესიის ფონზე ევროპაში ზოგადად იკლებს სამუშაო ადგილების რაოდენობა, განსაკუთრებით მაღალია უმუშევრობის მაჩვენებლები ახალგაზრდა თაობაში

უმუშევრობის მაჩვენებლების ზრდა და ახალგაზრდათა უმუშევრობა ამ დეკადის განმავლობაში ევროპის და მსოფლიოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევას წარმოადგენს. ახალგაზრდობაში უმუშევრობის ერთ წელს 42 წლის ასაკისთვის შემოსავლების 21%-ით შემცირება შეუძლია (Gregg and Tominey, 2005). უმუშევრობის დამატებითი სამი თვე 23 წლის ასაკამდე 28-33 წლის ადამიანებში საშუალოდ უმუშევრობას დამატებითი ორი თვით ახანგრძლივებს. ხანგრძლივი უმუშევრობის შემთხვევაში ეს პრობლემები უფრო ღრმავდება და იზრდება მათი შვილებზე გადასვლის ალბათობა. ინდივიდუალური დანაკარგის გარდა უმუშევრობა ნიშნავს გამოუყენებელ ეკონომიკურ რესურსებს, რაც ამცირებს ამონაგებს და აფერხებს პოტენციურ ეკონომიკურ ზრდას (OECD, 2012)

ეგთოს ბოლო კვლევების თანახმად, ბოლო 10 წლის განმავლობაში, ევროპაში ახალგაზრდა თაობის უმუშევრობის მაჩვენებლები უფრო ასაკოვან მოსახლეობასთან შედარებით ორჯერ უფრო მაღალია - 2011 წლის ნოემბრის მონაცემებით ევროკავშირში ახალგაზრდათა უმუშევრობის მაჩვენებელი 22%-ს შეადგენს.

ახალგაზრდობის დაახლოებით 40% გამოთქვამს თვითდასაქმების ინტერესს და სახელმწიფო ამ ასაკობრივ ჯგუფში ბიზნესის წამოწყების ხელშეწყობის მრავალრიცხოვან პროგრამებს ახორციელებს. მიუხედავად იმისა, რომ ამ პროგრამების ეფექტზე რამდენიმე კვლევაა განხორციელებული, რომლებიც ამ ინტერვენციების წარმატებაზე მეტყველებს, საკითხი დამატებით კვლევას საჭიროებს.

2. მიუხედავად უმაღლესი განათლების პოტენციურად დიდი ეფექტისა აღმავალი სოციალური მობილობის უზრუნველყოფაში, იგი საზოგადოებაში არსებული

უთანასწორობის გამოთანაბრების როლს სათანადოდ ვერ ასრულებს, რადგან უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა დღეისათვის მაინც შეზღუდული რჩება მოწყვლადი ჯგუფებისათვის.

თანამედროვე საზოგადოებაში ძალიან ძლიერი ურთიერთკავშირია სოციალურ წარმომავლობასა და მიღწეულ სოციალურ სტატუსს შორის და განათლება ამ კავშირში გამაშუალებელ როლს ასრულებს (Blau and Duncan 1967). მაგალითად, განათლების დონე დასაქმების სტატუსის ყველაზე მნიშვნელოვან პრედიქტორს წარმოადგენს. ეს ნიშნავს, რომ განათლება აგრეთვე მნიშვნელოვან როლს ასრულებს სოციალური მობილობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. თუმცა, კვლევები ასევე ადასტურებს, რომ საგანმანათლებლო სტატუსი თავისმხრივ დიდად არის დამოკიდებული სოციალურ ფაქტორებზე და, შესაბამისად, განათლებას სოციალური უთანასწორობის თაობათაშორისი რეპროდუქციამაც შეაქვს წვლილი (Triventi, 2011).

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ბოლო მონაცემების თანახმად, საშუალოდ ეგთოს ქვეყნებისთვის 25-34 ასაკობრივ ჯგუფში დაახლოებით ნახევარს მშობლის მსგავსი განათლება აქვს მიღებული, საიდანაც მხოლოდ 15%-ს აქვს უმაღლესი განათლება. აღმავალი მობილობის მაჩვენებელი ყველაზე დაბალია თურქეთში, ესპანეთში, პორტუგალიასა და იტალიაში, სადაც 25-34 ასაკობრივ ჯგუფში 30%- დან 60%-მდე ადამიანი, მშობლების მსგავსად, განათლების დაბალ დონეზე ჩერდება.

3. ევროპაში სახეზეა კომპეტენციების შეუთავსებლობის ტენდენცია (ბაზრის მოლოდინები ხშირ შემთხვევაში არ შეესაბამება უმაღლესი განათლების სისტემის ამონაგებს)

უნარ-ჩვევების თავსებადობის კუთხით ევროპის 25 ქვეყანაში მდგომარეობის ანალიზი აჩვენებს, რომ საშუალოდ, სამუშაო ძალის 59%-ის კომპეტენციები არ შეესაბამება ბაზრის მოთხოვნებს, თუმცა მაჩვენებელი მერყეობს 15%-დან ჰოლანდიაში 79%-მდე ესტონეთში (European Centre for the Development of Vocational Training, 2010).

ეგთო-ში შემავალი ტრანზიციული და განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნები დღეს მეტ აქცენტს ე.წ. გამჭოლ კომპეტენციებზე აკეთებენ, რომლებიც უფრო ადვილად ადაპტირებადია ბაზრის მოთხოვნების ცვლადობის პირობებში, ხოლო ტექნიკური უნარები ძალიან სწრაფად ძველდება (Machin & McNally 2007, Fasih 2008). ეს ტენდენცია სახეზეა ბრიტანეთსა და ესპანეთში (Cruz-Castro and Conlon, 2001), ისევე როგორც გარდამავალი ტიპის ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, როგორცაა ბულგარეთი, პოლონეთი, რუსეთი (World Bank, 2008).

სიტუაციას ამძაფრებს ისიც, რომ ევროპის მოსახლეობაში დაბერების ტენდენცია შეიმჩნევა, შესაბამისად ბაზარზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს არსებული რესურსების გადამზადება ბაზრის ახალი მოთხოვნების შესაბამისად.

ევროკომისიის კომუნიკე უნარ-ჩვევებისა და სამუშაო ძალის შესახებ (2008) ხაზს უსვამს კომპეტენციების შეუთავსებლობის უარყოფით გავლენას ევროპის შემდგომ განვითარებასა და სოციალური თანასწორობის იდეის განხორციელებაზე.

საჭიროზე მაღალი კვალიფიკაციის მქონე პირები იგივე ხელფასს იღებენ, რასაც მათი კოლეგები შედარებით დაბალი კვალიფიკაციით. ასევე, ხელფასის თვალსაზრისით ზარალს ხედავენ ის პირებიც, რომელთა კომპეტენციები უბრალოდ არ შეესაბამება ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს. ამ ტენდენციას უარყოფითი გავლენა აქვს ეკონომიკაზე, რადგან საჭიროზე მაღალი კვალიფიკაციის მქონე პირების რესურსები სათანადოდ არ არის გამოყენებული და ეცემა წარმადობის მაჩვენებლები, ხოლო საჭიროზე დაბალი კვალიფიკაციის მქონე პირები, იღებენ რა იგივე ხელფასს, რაც მათზე მაღალი კვალიფიკაციის მქონე მუშაკები, განვითარების საჭიროებას ვერ ხედავენ და შემდგომი განათლების მოტივაციას კარგავენ.

უნარ-ჩვევების შეუსაბამობა ამცირებს განათლების სოციალურ სარგებელს, რადგან იზრდება სამუშაოთი უკმაყოფილება და ზოგადად, ეცემა სამუშაო ძალის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის მაჩვენებლები (European Centre for the Development of Vocational Training, 2010).

ორიენტირები ჰიპოთეტური მოდელისათვის

ამ რეალობის გათვალისწინებით, ევროპის ქვეყნებში უმაღლესი განათლების ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის გასაზრდელად შემდეგი ზოგადი სტრატეგიები გამოიყენება:

- სისტემის ამონაგების რაოდენობრივი მაჩვენებლების (კურსდამთავრებულთა რაოდენობის) მონიტორინგი ბაზრის მოთხოვნებთან მიმართებაში, შეუსაბამობების იდენტიფიკაცია და პროგნოზირება; ეროვნულ დონეზე ამ მონაცემების შეგროვებასა და დამუშავებაზე კონკრეტული უწყება პასუხისმგებელი.
- სისტემის ამონაგების ხარისხობრივი მაჩვენებლების (კურსდამთავრებულთა კომპეტენციების) ბაზრის მოთხოვნებთან თავსებადობის მონიტორინგი, უმაღლესი განათლების სისტემის ხარისხებისა და კვალიფიკაციის სტრუქტურის რეფორმირება ამ მოთხოვნების შესაბამისად.
- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში გამოყენებითი ხასიათის, პრაქტიკაზე ორიენტირებული კვლევის წახალისება კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლების გაზრდის მიზნით;
- დაინტერესებული მხარეების როლისა და პასუხისმგებლობების დაზუსტება მოთხოვნა-მიწოდების ბალანსის უზრუნველყოფის მიზანთან მიმართებაში (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, მთავრობა, დამსაქმებლები). დამსაქმებლის როლის გაზრდა სასწავლო პროგრამების შემუშავებასა და მიწოდებაში, ხარისხის

უზრუნველყოფის სქემებსა და აკრედიტაციის პროცესებში (Center for Higher Education Policy Studies, 2011).

- ახალგაზრდათა დასაქმებისა და თვითდასაქმების მაჩვენებლების გაუმჯობესების ხელშეწყობა, რაც გულისხმობს უმაღლესი სასწავლებლების ჩართულობას ინფორმაციის მიწოდების, მენტორინგისა და კონსულტირების, ფინანსური დახმარებისა და ინფრასტრუქტურულ მხადაჭერის პროგრამებში (ინკუბატორები და ახალგაზრდული ბიზნეს ქსელები).

რადგან საქართველო უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ინტეგრაციისაკენ ესწრაფვის, ჰიპოთეტურ მოდელად შეიძლება წარმოვიდგინოთ სიტუაცია, როდესაც საქართველოში უმაღლესი განათლების განვითარების პოლიტიკა ითვალისწინებს ზემოთ ჩამოთვლილი სტრატეგიების ამოქმედებასა და დახვეწას.

ამ სტრატეგიების გამოყენების კონკრეტული მაგალითები ევროპის ქვეყნების მიხედვით მოცემულია დანართში #1. ევროპაში უმაღლესი განათლების განვითარების სტრატეგიულ დოკუმენტებში ხაზგასმულია აღნიშნული ინტერვენციების კომპლექსურად განხორციელების აუცილებლობა - არა მხოლოდ უმაღლესი განათლების, არამედ ფორმალური განათლების ყველა დონეზე, ისევე როგორც არაფორმალური განათლების ფარგლებში.

ეგთოს სტრატეგიულ პლატფორმაში კომპეტენციების შესახებ აგრეთვე აღნიშნულია, რომ უმაღლესი განათლების ამონაგების ხარისხის გაუმჯობესების ინტერვენციები ვერ გამოიღებს სათანადო შედეგს, თუ სახელმწიფოებში კომპლექსურად არ გატარდა ამ ამონაგებზე მოთხოვნის გაზრდის ხელშეწყობი ღონისძიებები, კერძოდ მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს სოციალური დაცვის მექანიზმებსა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინების დინამიკას, ისევე როგორც ეკონომიკის სხვადასხვა დარგების შიდა დაფინანსების მექანიზმებს.

2. უმაღლესი განათლება და სამუშაო ძალა საქართველოში - სიტუაციური ანალიზი

უმაღლესი განათლებისა და სამუშაო ბაზრის ურთიერთმიმართების შესახებ ინფორმაცია საქართველოში დღეისათვის ძალიან მწირია. ამ დეფიციტს პირველ რიგში განაპირობებს ის, რომ ეროვნულ დონეზე არ არსებობს სისტემური მიდგომა ბაზრისა და განათლების სიტემის ურთიერთკავშირის ანალიზისათვის - საჭირო ცვლადები არ არის ინტეგრირებული ისეთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტებში, როგორცაა მოსახლეობის აღწერის კითხვარები, შინამეურნეობის კვარტალური კვლევის ინსტრუმენტები. არ არის გააზრებული მონაცემების თავსებადობისა და აგრეგირების სტრატეგია, სამინისტროს შიგნით ან მის გარეთ არ არსებობს უწყება, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ამ ტიპის მონაცემების ანალიზზე, არ არის განსაზღვრული უმაღლესი განათლების პოლიტიკის ფორმირებაში ამ ინფორმაციის ინტეგრირების სტრატეგია.

მაგალითად, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემთა ბაზებზე დაყრდნობით დღეისათვის შეუძლებელია უმაღლესი განათლების უკუგებისა და ფარდობითი სარგებლის გამოანგარიშება უმაღლესი განათლების საფეხურების (დოქტორანტურა, ბაკალავრიატი, მაგისტრატურა), ისევე როგორც აკადემიური განათლების მიმართულებების მიხედვით და ეს იმ პირობებში, როდესაც საქართველოში უმაღლესი განათლების დარგების მიხედვით სახელმწიფო დაფინანსების დიფერენცირებული სქემები მოქმედებს (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის #79/ნ ბრძანების საფუძველზე 2013-2014 წელს ცალკეული პროგრამული მიმართულებებით სწავლის საფასური სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლებლებში სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ). შესაბამისად, პრიორიტეტული პროგრამული მიმართულებების იდენტიფიცირებისას სამინისტრო არ ეყრდნობოდა სანდო ემპირიული მასალას.

კუსდამთავრებულთა და სტუდენტთა დასაქმებისა და შემოსავლების შესახებ მონაცემები არც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დონეზე გროვდება სისტემურად. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამული აკრედიტაციის სტანდარტი ავალდებულებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, მთავრობის პროგრამები ბაზრის მოთხოვნებს, სტანდარტის შესაბამისი პუნქტების შესრულების ინდიკატორები და გადამოწმების წყაროები ბუნდოვანია, არ არის საკმარისად დეტალიზირებული თვითშეფასებისა და გარე შეფასების ინსტრუმენტებში და, შესაბამისად, არ იძლევა ამ კუთხით მდგომარეობის სრულად და ობიექტურად შეფასების შესაძლებლობას ცალკეული პროგრამების, ისევე როგორც მთლიანად უმაღლესი სასწავლებლის დონეზე.

თვითშეფასების ანგარიშების გამოქვეყნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის დღეისათვის სავალდებულო არ არის, რაც ზღუდავს ანგარიშვალდებულებას საზოგადოების წინაშე და აფერხებს ამ კუთხით უმაღლეს სასწავლებლებს შორის კონკურენციას. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების დიდ ნაწილში არ მოქმედებს კარიერული განვითარების სერვისი.

სათანადო მონაცემთა ბაზების ხელმიუწვდომლობის პირობებში ამ მიმართულებით ეროვნულ დონეზე განხორციელებული კვლევა ძალიან ძვირია, ეპიზოდურ ხასიათს ატარებს და სათანადოდ არ აისახება განათლების პოლიტიკაში. მიუხედავად ამისა, საქართველოში ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მაინც დაგროვდა საკმარისი ემპირიული მასალა ბაზრისა და უმაღლესი განათლების ურთიერთმიმართების ზოგადი ანალიზისათვის. მოცემულ დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია, ძირითადად, 2010-2012 წლების განმავლობაში განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის, საქართველოში ტემპუსის პროგრამის, ეკონომიკის პოლიტიკის კვლევის ცენტრისა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის კვლევებს ეყრდნობა და სამუშაო ბაზრისა და უმაღლესი განათლების ურთიერთმიმართების შესახებ შემდეგი ზოგადი დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას იძლევა. ეს დასკვნები, ძირითადად, თანხვედრაშია ევროპაში შექმნილ სურათთან და გამოწვევებთან:

1. 2013 წლის მონაცემებით უმაღლესი განათლება საქართველოში შემოსავლებისა და დასაქმების მაჩვენებლების ზრდის მნიშვნელოვან განმაპირობებელ ფაქტორს წარმოადგენს.

- უმაღლესი განათლების მქონე პირის საშუალო შემოსავალი დაქირავებული შრომიდან მხოლოდ ზოგადი განათლების მქონე პირის საშუალო შემოსავალზე თითქმის ორჯერ უფრო მაღალია.
- სქესის, ასაკისა და საცხოვრებელი ადგილის გათვალისწინების პირობებში, უმაღლესი განათლების მქონე პირის დასაქმების შანსები მხოლოდ საშუალო განათლების მქონე პირებთან შედარებით 2-ჯერ იზრდება, ხოლო დაქირავებით დასაქმების ალბათობა - თითქმის 5-ჯერ.
- მაგისტრატურის დამთავრება უმაღლესი განათლების მქონე პირისათვის არ იწვევს მნიშვნელოვან ნამატს სახელფასო შემოსავლებში, თუმცა მაგისტრის დიპლომის მქონე პირის დასაქმების შანსები 70%-ით მაღალია ბაკალავრის დიპლომის მქონე პირთან შედარებით. შესაბამისად, საქართველოში მაგისტრატურა არა შემოსავლის, არამედ დასაქმების ალბათობის გაზრდის საშუალებაა.
- უმაღლეს განათლებაზე გაწეული ხარჯების ამოღება საქართველოში დაახლოებით იგივე დროის მონაკვეთში ხდება, რაც ანალოგიური შემოსავლის მქონე ევროპის სხვა ქვეყნებში.

2. დასაქმებიდან შემოსავლების საშუალო მაჩვენებლები, ისევე როგორც დასაქმების ალბათობა მნიშვნელოვნად განსხვავდება სქესის და უმაღლესი განათლების მიმართულებების მიხედვით.

- უმაღლესი განათლების მქონე მამაკაცების დასაქმების ალბათობა 1.2 -ჯერ უფრო მაღალია უმაღლესი განათლების მქონე ქალების დასაქმების ალბათობასთან შედარებით. საგულისხმოა, რომ სქესის ნიშნით ეს განსხვავება გამოთვლილია განათლების სფეროს/სპეციალიზაციის გათვალისწინებით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საინჟინრო სფეროში ბაკალავრის ან მაგისტრის ხარისხის მიღების შემდეგ, ქალის დასაქმების ალბათობა უფრო დაბალი რჩება, ვიდრე მამაკაცების.
- სქესი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შემოსავლებზე. ეს გავლენა რჩება მაშინაც, როცა ერთმანეთს ვადარებთ ერთსა და იმავე სფეროში განათლებამიღებულებს. მაგალითისათვის, თუ ქალს და კაცს მიღებული აქვთ უმაღლესი განათლება ბიზნესის ადმინისტრაციის მიმართულებით და კვლევაში გათვალისწინებული ყველა მახასიათებელი აქვთ მსგავსი (მაგალითად, ასაკი, საცხოვრებელი ადგილი), მამაკაცის ხელფასი საშუალოდ 176 ლარით მეტია ქალის ხელფასზე.
- ბიზნესისა და ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით დიპლომის მფლობელთა დასაქმების შანსები, ჰუმანიტარული მეცნიერებების კურსდამთავრებულების შანსებთან შედარებით 1.3 – 1.4-ჯერ მაღალია.

- ბიზნესის და საინჟინრო მიმართულებების კურსდამთავრებულთა შემოსავალი დაქირავებული შრომიდან ჰუმანიტარული მეცნიერების კურსდამთავრებულებთან შედარებით უფრო მაღალია.
3. უმაღლესი განათლების უკუგების შემდგომი ზრდისთვის შემაფერხებელ ფაქტორებს წარმოადგენს უმაღლესი განათლების მქონე პირთა კომპეტენციების ბაზრის მოთხოვნებთან ნაკლები თავსებადობა და თვითდასაქმების დაბალი მაჩვენებლები
- საქართველოში უმაღლესი აკადემიური განათლების მქონე დასაქმებულ პირთა შორის საკუთარი სპეციალობით დაახლოებით 60% მუშაობს, რაც ნიშნავს, რომ ქვეყნის მასშტაბით უმაღლესი განათლების მქონე პირთა მხოლოდ მეოთხედი მუშაობს საკუთარი სპეციალობით.
 - დასაქმებულთა შორის სპეციალობით დასაქმებულთა წილი, აგრეთვე, მნიშვნელოვნად განსხვავდება მიმართულებების მიხედვით. ყველაზე დაბალი იგი საინჟინრო მიმართულებაზეა.
 - აღსანიშნავია, რომ სპეციალობით დასაქმებულთა წილი მნიშვნელოვნად მაღალია მაგისტრატურადამთავრებულთა შორის (ბაკალავრიატთან შედარებით). მაგისტრატურა, ამ თვალსაზრით, პროფესიული რეორიენტაციისა და ბაზარზე ორიენტირების ინსტრუმენტს წარმოადგენს.
 - სხვადასხვა კვლევის ფარგლებში გამოკითხულ დამსაქმებელთა დაახლოებით ნახევარი თვლის, რომ კურსდამთავრებულთა კომპეტენციები არ შეესაბამება მათ მოთხოვნებს.
 - საქართველოში, ისევე როგორც ევროპის ბევრ ქვეყანაში, უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდათა შორის თვითდასაქმებულთა წილი დაბალია, რაც ხელს უშლის ქვეყანაში ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.
4. უმაღლესი განათლება საზოგადოებაში არსებული სოციალური უთანასწორობის გამოთანაბრების პოტენციურად ეფექტური ინსტრუმენტია, თუმცა უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა დღეისათვის კვლავ შეზღუდული რჩება მოწყვლადი ჯგუფებისათვის.
- უმაღლესი განათლების დამატებითი საფეხური (მაგისტრატურის სახით) უფრო მეტად ზრდის დასაქმების შანსებს, ვიდრე ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ისეთი მახასიათებელი, როგორცაა მშობლის განათლება. უმაღლესი განათლების მქონე პირთა დაქირავებული შრომიდან მიღებული შემოსავლის ოდენობაში მშობლის განათლების მიხედვით მნიშვნელოვანი განსხვავებები არ არის.
 - უმაღლესი განათლების მქონე პირთა პირადი შემოსავლები დაქირავებული შრომიდან არ განსხვავდება იმის მიხედვით, თუ როგორი იყო პირის ოჯახის საშუალო შემოსავალი უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარების მომენტისათვის.

- ყველაზე ღარიბი მოსახლეობის ჯგუფში უმაღლეს განათლებაში ჩართულობის მაჩვენებელი 9%-ს შეადგენს, ხოლო ყველაზე მდიდარი მოსახლეობის ჯგუფში - 38%-ს. უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდათა წილი გაცილებით მაღალია იმ ოჯახების ჯგუფში, სადაც ოჯახის უფროსსაც უმაღლესი განათლება აქვს მიღებული (73%), ვიდრე იმ ოჯახებში, სადაც ოჯახის უფროსს მხოლოდ ზოგადი განათლება აქვს (18%).

3. რეკომენდაციები უმაღლესი განათლების სფეროში პოლიტიკის დაგეგმვისათვის

უმაღლესი განათლების უკუგებისა და ფარდობითი სარგებლის ზრდის მსოფლიო ტენდენციის გათვალისწინებით, საქართველოში მიზანშეწონილია უმაღლესი განათლების დაფინანსების (მათ შორის კვლევის დაფინანსების) გაზრდა, რადგან საერთაშორისო კვლევების თანახმად, უმაღლესი განათლების დაფინანსების ზრდა იწვევს დასაქმებისა და დასაქმებიდან შემოსავლების მაჩვენებლების გაუმჯობესებას.

საქართველოში დასაქმებაზე და შემოსავლებზე უმაღლესი განათლების ეფექტის ანალიზი აჩვენებს, რომ ინვესტიცია უმაღლეს განათლებაში ამ ეტაპისათვის თვალსაჩინო უკუგებას იძლევა, მაგრამ ქვეყანაში მაინც არასაკმარისად ეფექტურად გამოიყენება ადამიანური კაპიტალი, რომელიც უმაღლესი განათლების სისტემაში იქმნება. შესაბამისად, უმაღლეს განათლებაში სახელმწიფო ინვესტიციის ზრდის პარალელურად, მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს უმაღლესი განათლების საზოგადოებრივი უკუგების მაჩვენებლის ზრდისათვის დამატებითი ღონისძიებების გატარება. ამ მიმართულებით შესაძლო სტრატეგიებია:

- ა) უმაღლეს განათლებაზე სახელმწიფო ხარჯების რაციონალიზაცია ემპირიული მონაცემების გათვალისწინებით;
- ბ) უმაღლესი განათლების სისტემის შედეგების ბაზრის მოთხოვნებთან თავსებადობის ზრდის ხელშეწყობა;
- გ) უმაღლესი განათლებიდან ჯამური შემოსავლების ზრდის ხელშეწყობა;
- დ) უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა მოწყვლადი ჯგუფებისათვის

ა. უმაღლეს განათლებაზე ხარჯების რაციონალიზაციისათვის მნიშვნელოვანია, რომ უმაღლესი განათლების სუბსიდირებისას გათვალისწინებული იქნას რეალური უკუგების მაჩვენებლები აკადემიური მიმართულებების მიხედვით. პირველი რიგის ამოცანას ამ ეტაპზე წარმოადგენს საქართველოში განათლების უკუგების მაჩვენებლების შეგროვებისა და ტენდენციების მონიტორინგის სისტემის ამოქმედება. რადგან დღეისათვის საქართველოში არ არსებობს ასეთი ტიპის ანალიზისათვის საჭირო მონაცემების შეგროვების სისტემა. ამ მიმართულებით მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის რეკომენდირებულია შემდეგი ნაბიჯები:

- დასაქმების სფეროების, განათლების საფეხურებისა და კვალიფიკაციების კლასიფიკაციის არსებული მოდელის რევიზია იუნესკოსა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) საერთაშორისო კლასიფიკატორების გათვალისწინებით (International Standard Classification of Education <http://www.uis.unesco.org/Education/Documents/isced-2011-en.pdf>; ISCED Fields of Education and Training <http://www.uis.unesco.org/Education/Documents/isced-fos-consultation-draft-2013-en.pdf>; International Standard Classification of Occupations (ISCO) <http://www.ilo.org/public/english/bureau/stat/isco/isco08/index.htm>). ასეთი კლასიფიკაციით ინფორმაციის შეგროვება და მოწესრიგება უზრუნველყოფდა ინფორმაციის ხელმისაწვდომობას დასაქმების მაჩვენებლების შესახებ აკადემიური განათლების ზოგადი მიმართულებების და ქვემიმართულებების მიხედვით, ისევე როგორც საქართველოში შეგროვებული მონაცემების შედარებითობას სხვა ქვეყნების მონაცემებთან;
- სტატისტიკის ეროვნული სამსახურის კვლევითი ინსტრუმენტების მოდიფიცირება (ახალი ცვლადების დამატება), რათა შესაძლებელი იყოს შემოსავლების დაანგარიშება განათლების საფეხურებისა და მიმართულებების მიხედვით (მათ შორის დასაქმებიდან და თვითდასაქმებიდან);
- დასაქმებისა და განათლების უკუგების შესახებ მონაცემების ანალიზზე პასუხისმგებელი უწყების გამყოფა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ფარგლებში (მაგალითად, სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა);
- პროცესში დასაქმებისა და განათლების უკუგების მონიტორინგის შედეგების პოლიტიკის ფორმირების ინტეგრირების პროცესის დაკონკრეტება. (რომელი უწყებები მიიღებენ მონაწილეობას ანგარიშის მომზადებაში, რომელი უწყება მოამზადებს საბოლოო ანგარიშს, ვის წარუდგენს და რა პერიოდულობით, რომელი კონკრეტული გადაწყვეტილებები მიიღება ამ ინფორმაციის გათვალისწინებით).

ბ. საქართველოში უმაღლესი განათლების ბაზრის მოთხოვნებთან თავსებადობის გაზრდისათვის მნიშვნელოვანია **საუნივერსიტეტო განათლების ხარისხის მონიტორინგის მექანიზმებში შედეგზე ორიენტირებული კონტროლის მექანიზმების გაძლიერება**. კერძოდ:

- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში კარიერული განვითარების ცენტრების, როგორც აუცილებელი სტრუქტურული ერთეულის არსებობის უზრუნველყოფა;
- პროგრამების თვითშეფასების ანგარიშების საჯაროობის უზრუნველყოფა. აკადემიური პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასებისა და გარე შეფასების ინსტრუმენტებში სწავლის შედეგების ბაზრის მოთხოვნებთან თავსებადობის გადამოწმების ინდიკატორების დაკონკრეტება (მაგალითად, დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები, დამსაქმებელთა თანამშრომლობის ფორმების მრავალფეროვნება და ინტენსივობა);
- უმაღლესი სასწავლებლების სარეიტინგო სისტემის შექმნის შემთხვევაში, დასაქმების მაჩვენებლების რეიტინგის ერთ-ერთ კომპონენტად ინტეგრირება. მნიშვნელოვანია, რომ ამგვარ რეიტინგში შესაძლებელი იყოს უმაღლესი სასწავლებლების შედარება სწავლის ცალკეული მიმართულებების მიხედვით;

გ. უმაღლესი განათლებიდან შემოსავლების ზრდისათვის სტრატეგიულ ნაბიჯებს შეიძლება წარმოადგენდეს უმაღლესი განათლების მქონე პირთა თვითდასაქმების სტიმულირება, რაც, თავისმხრივ, ხელს შეუწყობს სამუშაო ადგილების რაოდენობის ზრდას ქვეყანაში. ასევე, მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს კურსდამთავრებულთა კომპეტენციების ეფექტური გამოყენების ხელშეწყობა კერძო და საჯარო სექტორში ინოვაციების დანერგვის თვალსაზრისით, ისევე როგორც მაღალკვალიფიციური რესურსის ქვეყნიდან გადინების პრევენცია. ამ მიმართულებით კონკრეტული ინტერვენციები შესაძლოა გულისხმობდეს:

- თვითდასაქმებისათვის აუცილებელი კომპეტენციების განვითარებაზე მიმართული კურსების ინტეგრირებას უმაღლესი აკადემიური განათლების ყველა მიმართულების სასწავლო გეგმებში (ჰუმანიტარული, სოციალური, ზუსტი და ა.შ.) და, ასევე, სასკოლო სასწავლო გეგმაში.
- თვითდასაქმების ხელშეწყობი ინფრასტრუქტურის განვითარების სტიმულირებას (ამგვარ ინიციატივებს შესაძლოა წარმოადგენდეს უმაღლესი სასწავლებლების შიგნით ბიზნეს ინკუბატორების შექმნა, შიდასაუნივერსიტეტო და სახელმწიფო სესხები და გრანტები სტუდენტთა და კურსდამთავრებულთათვის მცირე ბიზნესის მხარდაჭერისათვის).
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში გამოყენებითი სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის და საუნივერსიტეტო, საჯარო და ბიზნეს სექტორის ერთობლივი კვლევითი ინიციატივების თანადაფინანსების გაზრდა. დაფინანსების გაზრდის პარალელურად მნიშვნელოვანია გამოყენებითი კვლევების შეფასების სპეციფიური ინდიკატორების შემუშავება;
- განათლების უკუგების და ბაზრის ტენდენციების მონიტორინგზე დაყრდნობით გამოვლენილ პრიორიტეტულ დარგებში სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობისა და პროგრამების ინტერნაციონალიზაციის წახალისება მიზნობრივი პროგრამების საშუალებით;
- ერთობლივი სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამების კურსდამთავრებულთა, ისევე როგორც სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული საერთაშორისო მობილობის სქემებში ჩართული მაღალკვალიფიციური რესურსის ქვეყნის შიგნით გამოყენების გარანტიების შექმნის სტრატეგიის შემუშავება.

დ. უმაღლეს განათლებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობის გაზრდა მოწყვლადი ჯგუფებისათვის სახელმწიფოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს - განათლების უკუგების მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ უმაღლესი განათლება პოტენციურად ამცირებს უთანასწორობას დასაქმებასა და შემოსავლებთან მიმართებაში სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს შორის, თუმცა, ჩვენი ანალიზის თანახმად, სოციალურად დაუცველი ფენების ჩართულობა უმაღლეს განათლებაში დაბალი რჩება. ამ მიმართულებით მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის მნიშვნელოვანია უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის ფინანსური ბარიერების აღმოფხვრა, რაც თავისმხრივ შეიძლება მოიცავდეს სტუდენტების დაფინანსების არსებული სისტემის ცვლილებას და სტუდენტთა დახმარების სისტემის მორგებას ორ კრიტერიუმზე - (1)

კერძო ამონაგებზე განათლებიდან და (2) სტუდენტის გადახდისუნარიანობაზე. აქედან პირველი განხილულია წინა რეკომენდაციებში, სადაც საუბარია სფეროების მიხედვით კერძო ამონაგების გამოთვლის ტექნოლოგიების დახვეწაზე, რაც სახელმწიფო სუბსიდიების უფრო ეფექტურად გადანაწილების შესაძლებლობას შექმნიდა. რაც შეეხება მეორე კრიტერიუმს, იგი ებმის სოციალური სტაბილურობის პრინციპს და იმ მოსაზრებას, რომ სახელმწიფოს ინტერესებში შედის ადამავალი სოციალური მობილობის შესაძლებლობების გაზრდა. ამ მიმართულებით კონკრეტულ ნაბიჯებს შეიძლება წარმოადგენდეს უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში სოციალური გრანტების წილის გაზრდა და სტუდენტური სესხების მექანიზმის ამოქმედება.

დანართები

დანართი 1: უმაღლესი განათლების ბაზრის მოთხოვნებთან თავსებადობის გაზრდის საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები

ა. მოთხოვნა-მიწოდების ბალანსის მონიტორინგი

გაერთიანებულ სამეფოში მოთხოვნა-მიწოდების ტენდენციების კონტროლი სისტემატიურად ხორციელდება მრავალი წლის განმავლობაში და გულისხმობს, მაგალითად, უმაღლესი განათლების სისტემის კურსდამთავრებულთა გამოკითხვას - Destination of Leavers from HE survey (უმაღლესი სასწავლებელში სწავლის დასრულებიდან 6 თვის და 35 თვის შემდეგ), დამსაქმებელთა მოთხოვნების კვლევას უმაღლესი განათლებისადმი - National Employer Skills survey and Employer Perspective Survey. დღეისათვის კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკის შეგროვებაზე ოფიციალურად პასუხისმგებელია უმაღლესი განათლების სტატისტიკის სააგენტო (HESA). რადგან ბრიტანეთში სამუშაო ბაზარი მეტ-ნაკლებად ინდეფერენტულია აპლიკანტის სპეციალიზაციის მიმართ (ეს მახასიათებელი განასხვავებს დიდ ბრიტანეთს ევროპის ბევრი სხვა ქვეყნიდან, სადაც სწავლის მიმართულება უფრო მკაფიო კავშირშია სამუშაო ბაზართან), HESA-ს კვლევებში ერთმანეთისაგანაა გამიჯნული სწავლის მიმართულებასთან უშუალოდ დაკავშირებული კომპეტენციები და ზოგადი კომპეტენციები.

საფრანგეთში მოთხოვნა-მიწოდების კონტროლის ფუნქციას ახორციელებს კვალიფიკაციების კვლევის ცენტრი *Centre d'études et de recherches sur les qualifications* (CEREQ, რომელიც სახელმწიფო და რეგიონალურ დეპარტამენტებს მიაწოდებს ინფორმაციას დასაქმების ტენდენციების შესახებ ყველა დონისა და ყველა ტიპის პროგრამისათვის. ცენტრის ანგარიშები უმაღლესი განათლების სფეროში პოლიტიკის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს. ამ ანგარიშებით, მაგალითად, ინტენსიურად სარგებლობს ეროვნული შეფასების სააგენტო საუნივერსიტეტო პროგრამების აკრედიტაციისათვის *AERES, the national evaluation agency for accrediting university programmes*.

შვედეთში უმაღლესი განათლების ეროვნული სააგენტო ყოველწლიურად აქვეყნებს ანგარიშს ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების ბალანსის შესახებ. წლიური ანგარიშები რეგულარულად იბეჭდება 2003 წლის შემდეგ და შეიცავს ინფორმაციას დასაქმებულ კურსდამთავრებულთა წილის შესახებ (სწავლის დასრულებიდან 12-18 თვის შემდეგ). მოსახლეობის აღწერის მონაცემებზე დაყრდნობით შესაძებელია სამუშაო ბაზრის ტენდენციების დეტალური აღწერა და კურსდამთავრებულთა კლასიფიკაცია ოთხ კატეგორიაში დასაქმების მაჩვენებლების მიხედვით. ამგვარი კლასიფიკაცია შესაძებლობას იძლევა ერთმანეთს შევადაროთ სხვადასხვა უნივერსიტეტები და პროგრამები.

ფინეთში ოფიციალური სტატისტიკა მოთხოვნა-მიწოდების ბალანსის შესახებ გროვდება განათლების სამინისტროს, სტატისტიკის სააგენტოსა და კერძო კომპანიების მიერ. რეგიონების დონეზე სტატისტიკას აგროვებენ რეგიონალური დეპარტამენტები. სხვადასხვა წყაროებიდან შეგროვებული ინფორმაცია გამოიყენება პოლიტიკის რეგიონალური ქსელების მიერ,

რომლებშიც ჩართულნი არიან რეგიონის მმართველობის წარმომადგენლები, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, დამსაქმებელთა ასოციაციები და დიდი ბიზნეს კომპანიები.

ბ. უმაღლესი განათლების შედეგების ბაზრის მოთხოვნებთან თავსებადობის მონიტორინგი, პროგრამებისა და კვალიფიკაციების მოდიფიკაცია, დასაქმების ხელშეწყობა

ევროპის ბევრ ქვეყანაში, მათ შორის საფრანგეთში ბაკალავრიატის საფეხური ყალიბდება, როგორც უმაღლესი განათლების ბაზარზე ორიენტირებული საფეხური. უმაღლესი განათლების კომპეტენციების ბაზრის მოთხოვნებთან დაახლოების მიზნით ბაკალავრიატის დონეზე რეფორმის ფარგლებში ორი ძირითადი ინოვაცია ხორციელდება: ა) მარტივდება სტუდენტისათვის სწავლის მიმართულების შეცვლა (სტუდენტს მარტივად უნდა შეეძლოს ერთი პროგრამიდან მეორეზე გადასვლა); ბ) პროგრამებში იზრდება აქცენტი დასაქმებისათვის მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევების განვითარებაზე - ყველა საბაკალავრო პროგრამაში სავალდებულოა პრაქტიკის კომპონენტის ჩართვა. ასევე მიმდინარეობს მუშაობა ყველა უნივერსიტეტში ე.წ. სტუდენტთა დასაქმების ხელშემწყობი სტრუქტურების ჩამოყალიბების მიმართულებით.

უმაღლესი განათლების ბაზრის მოთხოვნებთან თავსებადობის გაზრდის კუთხით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფის სქემებში დამსაქმებელთა ჩართულობის კონკრეტული მექანიზმების ამოქმედებაა.

შვედეთში 2010 წელს მიღებული იქნა უმაღლესი განათლების პირველი და მეორე დონის პროგრამების შეფასების ახალი სისტემა. ეს მოდელი გულისხმობს გარე ევალუაციის პროცესში სამი კატეგორიის შემფასებელთა ჩასმას: დარგის ექსპერტების, სტუდენტებისა და პრაქტიკოსების. პრაქტიკოსების ნომინირებას ახდენენ დამსაქმებელი ორგანიზაციები, პრაქტიკოსების ჩართულობა ძალიან მნიშვნელოვანია პროგრამების სამუშაო ბაზრის მოთხოვნებისადმი რელევანტურობის დასადასტურებლად. გარდა ამის, ევალუაცია ეყრდნობა სამ ფაქტორს: სტუდენტების დამოუკიდებელ პროექტებს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებასა და სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვას.

ესპანეთში კატალონიის მთავრობის და შვიდი საჯარო უნივერსიტეტის ერთობლივი ინიციატივით შეიქმნა ერთობლივი საინფორმაციო სისტემა UNEIX, რომელიც აგროვებს სტატისტიკურ ინფორმაციას საჯარო უმაღლეს სასწავლებლებში პოლიტიკის დაგეგმვისა და ანალიზისათვის. კატალონიური სისტემა მოიცავს ინდიკატორს დასაქმების/სამუშაო ბაზრის შესახებ, რომელიც განისაზღვება ფორმულით: დასაქმების ხარისხის ინდექსი = $f[(C + I + W) * S] * 100$, სადაც C არის კონტრაქტის ტიპი, I ხელფასი, W სამუშაოს შესაბამისობა განვლილ სასწავლო პროგრამასთან, ხოლო S - სამუშაოთი კმაყოფილება. ინდექსი უზრუნველყოფს ინფორმაციას დასაქმების ხარისხის შესახებ სწავლის დასრულებიდან 3 წლის შემდეგ.

ბიზნესისა და გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტების ერთობლივი კვლევითი საქმიანობის დაფინანსება უმაღლესი განათლების სამუშაო ბაზრის მოთხოვნებთან დაახლოების კიდევ ერთი მაგალითია ევროპაში. სახელმწიფოს როლი ამ ინიციატივებში შეიძლება

გულისხმობდეს მესამე მხარის მხრიდან დაფინანსების ხელშეწყობას. ყველაზე გავრცელებული გზა სახელმწიფო დაფინანსების უზრუნველყოფაა იმ შემთხვევაში, თუ გარე პარტნიორები (ბიზნესი) თანადაფინანსებით შემოდიან. ასევე, სახელმწიფო ცალკეულ ქვეყნებში ხელს უწყობს ქსელების ჩამოყალიბებას.


მაგალითად, შვეიცარიაში შვეიცარიის ინოვაციის სააგენტოსა და შვეიცარიის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროგრამები (მაგალითად სოციალურ მეცნიერებათა მხარდაჭერის პროგრამა) მნიშვნელოვან აქცენტს აკეთებს გამოყენებითი ხასიათის კვლევებსა და კერძო კომპანიებთან თანამშრომლობაზე.

მსგავსი პროგრამებში ბიზნესის თანადაფინანსების წილი მერყეობს 22%-დან (გერმანიაში), 50 %-მდე (ავსტრიაში).

გერმანიაში, ბრანდენბურგში, მოქმედებს ტექნოლოგიური ცენტრი და ბიზნეს ინკუბატორი, რომელიც ამჟამად აერთიანებს 45 კომპანიასა და ორგანიზაციას. ინკუბატორში დამწყები ბიზნესმენები სარგებლობენ ტექნიკური დახმარებით, როგორცაა კონსულტირება, რეკლამა, საბანკო მომსახურება და საოფისე ტექნიკა. ახლომდებარე ბრანდენბურგის უნივერსიტეტის სტუდენტები თავისუფლდებიან ინკუბატორში რენტის გადასახადისაგან 6-12 თვის განმავლობაში. ბენეფიციარი სტუდენტები შეირჩევა კონკურსის (ბიზნეს გეგმების წინასწარი განხილვის) გზით.


დანართი 2: უმაღლესი განათლების უკუგებისა და ფარდობითი სარგებლის მაჩვენებლები მსოფლიოსა და საქართველოში

სქემა 1: კერძო უკუგება განათლების საფეხურების მიხედვით (%)




წყარო: World Development Report 2012

სქემა 2: უმუშევრობის მაჩვენებლები (%) 16-35 წლის მოსახლეობაში განათლების დონეების მიხედვით (ეკონომიკურ კრიზისამდე 2007 და შემდეგ 2009) - ეკონომიკური კრიზისის ნეგატიური გავლენა უფრო დიდაა დაბალი განათლების კატეგორიაში




წყარო: World Development Report 2012

სქემა 3: საკუთარი ბიზნესის მფლობელ ახალგაზრდათა წილი (%)




წყარო: მსოფლიო მეწარმეობის მონიტორი 2007-2011 (ზრდასრული მოსახლეობის გამოკითხვა)

სქემა 4: დაქირავებით შრომიდან შემოსავლის ფარდობითი სარგებელი განათლების დონეების მიხედვით % (რეფერენციული ჯგუფი - საშუალო განათლება), საშუალო შემოსავალი ლარში (საქართველო)




წყარო: ფორმულის გაანგარიშებისას გამოყენებული იქნა შინამეურნეობის ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემები (საქსტატი, 2010).

სქემა 5: მოსახლეობის საშუალო შემოსავალი დასაქმების ტიპისა და განათლების დონეების მიხედვით (საქართველო)




წყარო: გაანგარიშებისას გამოყენებული იქნა შინამეურნეობის ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემები (საქსტატი, 2010).

სქემა 6: დასაქმებულთა წილი განათლების დონეების მიხედვით (საქართველო)




წყარო: გაანგარიშებისას გამოყენებული იქნა შინამეურნეობის ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემები (საქსტატი, 2010).

სქემა 7: დასაკმება და შემოსავლები აკად. განათლების მიმართულებების მიხედვით




წყარო: გაანგარიშებისას გამოყენებული იქნა შინამეურნეობის ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემები (საქსტატი, 2010).

სქემა 8: დაქირავებულებს შორის სპეციალობით მომუშავეთა წილი მიმართულებების მიხედვით (საქართველო)



წყარო: გაანგარიშებისას გამოყენებული იქნა შინამეურნეობის ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემები (საქსტატი, 2010).

სქემა 9: უმაღლეს განათლებაში ჩართულობა სხვადასხვა სოციალური ჯგუფების მიხედვით



წყარო: გაანგარიშებისას გამოყენებული იქნა შინამეურნეობის ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემები (საქსტატი, 2010).

გამოყენებული ლიტერატურა:

განათლება და სამუშაო ბაზარი:

- Center for Higher Education Policy Studies. (2011). Perspectives of Higher Education and the Labour Market: Review of international policy developments
- The World Bank. (2012). World Development Report. Jobs
- UNESCO (2012). EFA global monitoring report. Youth and Skills: Putting education to work.
- Sursock, A. and Smidt. H. (2012). Trends 2010: a decade of change in European Higher Education. EUA Publications.
- Machin, S. and McNally, S. (2007). Tertiary Education Systems and Labour Markets. OECD
- Buchanan, J. et al. (2010), "Skills Demand and Utilisation: International Review of Approaches to Measurement and Policy Development", OECD Local Economic and Employment Development (LEED) Working Papers,2010/04, OECD Publishing.
<http://dx.doi.org/10.1787/5km8zddfr2jk-en>
- Bussi, M. 2012. Quality Education for Quality jobs. European Trade Union Confederation (ETUC)
- Martins J.O, et al. 2009. The Policy Determinants of Investment in Tertiary Education. OECD journal: Economic Studies
- Lubyova, M. 2009. Labour market institutions and policies in the CIS: post-transitional outcomes. Subregional Office for Eastern Europe and Central Asia. ILO, Moscow.
- OECD (2011), Skills for Innovation and Research, OECD Publishing.
<http://dx.doi.org/10.1787/9789264097490-en>
- McIntosh, S. (2004). Education and Employment in OECD countries. UNESCO. International Institute for Education Planning. Paris.
- Altonji, J.G et al. 2012. Heterogeneity in Human Capital Investments: High school curriculum, college major, and careers. Working Paper 17985. National Bureau of Economic Research. Cambridge, MA
<http://www.nber.org/papers/w17985>
- Triventi, M. 2011. The role of higher education stratification in the reproduction of social inequality in the labour market. A comparative study of recent European graduates. University of Milan-Bicocca
<http://mpra.ub.uni-muenchen.de/35996/>
- Fasih, T. 2008. Linking Education Policy to Labor Market Outcomes. The World Bank.
- Ionescu, A. M. 2012. How does education affect labour market outcomes? Review of Applied Socio-Economic Research. (Volume 4, Issue 2/ 2012), pp. 130
<http://www.reaser.eu>

ახალგაზრდათა თვითდასაქმება და მეწარმეობა:

- ILO. 2012. The youth employment crisis: A call for action. Resolution and conclusions of the 101st Session of the International Labour Conference, Geneva, 2012.
- OECD. 2012. Policy Brief on Youth Entrepreneurship: Entrepreneurial Activities in Europe

კომპეტენციები:

ILO. 2008. Conclusions on skills for improved productivity, employment growth and development.

International Labour Conference, 2008, Geneva.

ILO. 2008. Formulating a National Policy on Skills Development. Policy Brief.

OECD (2012), Better Skills, Better Jobs, Better Lives: A Strategic Approach to Skills Policies, OECD Publishing.

<http://dx.doi.org/10.1787/9789264177338-en>

ILO. 2010. A Skilled Workforce for Strong, Sustainable and Balanced Growth. Geneva.

European Centre for the Development of Vocational Training, 2010. The skill matching

Challenge: Analysing skill mismatch and policy implications. Publications Office of the European Union, Luxembourg.

IOM. 2008. სამუშაო ძალაზე დამსაქმებელთა მოთხოვნა. თბილისი

Economic Policy Research Center (EPRC). 2011. დასაქმება და უმუშევრობის ტენდენციები

საქართველოში. თბილისი

Salmi, J. and Andguladze, N. 2012. Tertiary Education Governance and Financing in Georgia. The World Bank

ადგილობრივი წყაროები:

განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი. 2008.

უმაღლესი განათლების რეფორმის შედეგები: აღწერითი ანგარიში ბოლონიის პროცესის ინდიკატორების მიხედვით

განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი. 2012. კერძო

რეპეტიტორობა საქართველოში

განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი. 2013. უმაღლესი

განათლება და სამუშაო ძალა საქართველოში

Khitarishvili, T. 2010. Assessing the Returns to Education in Georgia. Levy Economics Institute of Bard College

Javakhishvili, N. et al. 2011. Higher Education Institutions of Georgia Aiding Student Employment.

European Commission/Tempus program.

განათლების უკუუგება:

Altonji, J. G., Blom, E., & Meghir, C. (2012, April). *Heterogeneity in Human Capital Investments: High School Curriculum, College Major and Careers*. Retrieved March 13, 2013 from National Bureau of Economic Research: http://www.nber.org/papers/w17985.pdf?new_window=1

Becker, G., & Tomes, N. (1979). An Equilibrium Theory of Distribution of Income and intergenerational Mobility. *Journal of Political Economy*, 87 (6j), 53-89.

Campbel, D. (2011, August). *Center for Economic Performance*. Retrieved January 16, 2013 from London School of Economics: <http://cep.lse.ac.uk/seminarpapers/18-01-02-CAM.pdf>

Card, D., & Krueger, A. B. (1992). Does school quality matter? Returns to education and the characteristics of public schools in the United States. *Journal of Political Economy*, 100 (1), 1-40.

- Chevalier, A., Harmon, C., Walker, I., & Zhu, Y. (2004). Does Education Raise Productivity, or Just Reflect it? *Economic Journal*, 114, pp. 499- 517.
- Nord, S. (1987). Schooling and changes in the inequality in male and female earnings in the United States over the 1970s. *Applied Economics*, 19 (8).
- Machin, S., & McNally, S. (2007). *Tertiary Education Systems and Labour Markets*. Paris: OECD.
- Machin, S., & Puhani, P. A. (2002, August). *Subject of Degree and the Gender Wage Differential*. Retrieved January 15, 2013 from Institute of Labor Studies: <http://ftp.iza.org/dp553.pdf>
- Paglin, M., & Rufolo, A. M. (1990). Heterogeneous Human Capital, Occupational Choice, and Male-Female Earnings Differences. *Journal of Labor Economics*, 8 (1), p123. 22p.
- Psacharopoulos, G. (1972). Rates of Return on Investment in Education Around the World. *Comparative Education Review* , 54-67
- Psacharopoulos, G. (1993). *Returns to Investment in Education*. Policy Research, World Bank, Office of the Director Latin America and the Caribbean, Washington DC.
- Psacharopoulos, G. (1972). The Economic Returns to Higher Education in Twenty-Five Countries. *Higher Education* , 141-158.
- Psacharopoulos, G., & Patrinos, H. (2004). Returns to Investment in Education: a Further Update. *Education Economics* .
- Psacharopoulos, G., & Patrinos, H. A. (2002). *Return to Investment in Education*. Washington: The World Bank.
- Walker, I., & Zhu, Y. (2011). Differences by Degree: Evidence of the Net Financial Rates of Return to Undergraduate Study for England and Wales. *Economics of Education Review*, 30 (6), 1177-1186.